საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ამონარიდი

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესიდან

- **ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი**

1. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან:
   ა) აკადემიის პროცესებთან/პროგრამებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
   ბ) პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
   გ) შემოწმების განხორციელება;
   დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
   ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

- **აკადემიის პროცესებთან/პროგრამებთან რისკების შეფასება და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა.**

1. ხარისხის მართვის სამსახურის(შემდგომში სამსახური) მიერ, ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. თუ პროცესი მოიცავს ერთზე მეტ პროგრამას/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამას, მათი შერჩევა ხდება რისკების შეფასების საფუძველზე მე-9 პუნქტის შესაბამისად.
2. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ფასდება გარე შემფასებლის მიერ.
3. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ფასდება არანაკლებ 7 წელიწადში ერთხელ ან სტრატეგიული გეგმის განახლების/მასში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.
4. დანარჩენი პროცესები შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტის შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები.
5. სამსახური, დირექტორთან შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველი წლის აგვისტო-სექტემბერში ახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/პროგრამების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც ადგენს პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. მე-5 პუნქტით განსაზღვრული პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმა მოიცავს ერთ კალენდარულ წელს ოქტომბრიდან ოქტომბრამდე.
7. პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმა შეიცავს ინფორმაციას შესამოწმებელი პროცესის/პროგრამის, მისი შემოწმების ფარგლების და შემოწმების სავარაუდო დროის პერიოდის (წელი, კვარტალი) შესახებ.
8. პროცესთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებად შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი:
   ა) პროცესის შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელება;
   ბ) პროცესის გავლენის მასშტაბები პირთა რაოდენობის გათვალისწინებით;
   გ) პროცესის გავლენა ავტორიზციის/უფლების მოპოვების პირობების შესრულებაზე;
   დ) ახალ თანამშრომელთა ხვედრითი წილი პროცესზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში;

ე) პროცესის გავლენა აკადემიის იმიჯსა და რეპუტაციაზე;
ვ) სხვა რისკ-ფაქტორები.

9. პროგრამასთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორად შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი:
ა) ახალი პროგრამა;
ბ) პროგრამის შემუშავების საფუძვლებში ცვლილებების განხორციელება;
გ) პროგრამის ახალ განმახორციელებთა(პროფესიული განათლების მასწავლებელი, პარტნიორი საწარმო) მაღალი ხვედრითი წილი;
დ) პროგრამის დასრულების დაბალი მაჩვენებლი;
ე) სტუდენტთა/მსმენელთა გადინების მაღალი მაჩვენებელი;
ვ) სხვა რისკ-ფაქტორები.

- **არაგეგმიური შემოწმება**

1. სამსახური უფლებამოსილია მიღებული ინფორმაციის, ან განხორციელებული კვლევების შედეგების საფუძველზე, დირექტორთან შეთანხმებით განახორციელოს პროცესის/პროგრამის არაგეგმიური შემოწმება.

- **შეფასების განხორციელება**

1. სამსახურის მიერ შემოწმების ობიექტის ინფორმირება ხდება პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში.
2. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის შემოწმების ობიექტს წარმოადგენს პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, ხოლო პროგრამის შემთხვევაში- სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
3. შეფასება მოიცავს:
ა)პროცესის/პროგრამის შესაბამისობის შეფასებას მოქმედ მარეგულებელ აქტებთან;
ბ) პროცესის/პროგრამის განხორციელების პრაქტიკის შესაბამისობის შეფასებას პროცესთან/პროგრამასთან.
4. სამსახური უფლებამოსილია გამოითხოვოს შემოწმებისთვის საჭირო დოკუმენტაცია შესაბამისი სამსახურისაგან/პირისაგან.
5. სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს პროცესში მონაწილე/პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა ინტერვიუირება.
6. შემოწმების ობიექტი ვალდებულია ითანამშრომლოს სამსახურთან და ხელი შეუწყოს შემოწმების განხორციელებას.
7. მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა, შესაძლებელია გახდეს აკადემიის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისკრების საფუძველი.

8. შემოწმება უნდა დასრულდეს მისი დაწყებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. სამსახურის დასაბუთებული შუამდგომლობით და დირექტორის თანხმობით დასაშვებია შემოწმების ვადის არაუმეტეს 60 კალენდარული დღით გახანგრძლივება.
9. შემოწმების დაწყების თარიღად განიხილება, სამსახურის მიერ შემოწმების ობიექტისადმი შემოწმების განხორციელების მიზნით, პირველი ოფიციალური მიმართვის თარიღი, გარდა 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ინფორმირებისა.

- **დასკვნის შედგენა და უკუკავშირი.**

1. შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   ა)შემოწმების საგანი და ფარგლები;
   ბ)შემოწმების განხორციელების პერიოდი;
   გ)ინფორმაცია შემოწმების განხორციელების პროცესის შესახებ;
   დ) შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები;
   ე) შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციები და ვადები;
   ვ)საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია და მტკიცებულებები.

2. დასკვნის პროექტი, გასაცნობად ეგზავნება შემოწმების ობიექტს, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს არგუმენტირებული შენიშნვენი და წინადადებები დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. ასევე, ვალდებულია წარადგინოს საკუთარი პოზიცია მიგნებებთან, რეკომენდაციებთან და ვადებთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე, უფლებამოსილია შესთავაზოს საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები.
3. სამსახური უფლებამოსილია, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ეტაპის უზრუნველსაყოფად ორგანიზება გაუწიოს სამუშაო შეხვედრას, ხოლო შეხვედრის შედეგები ფორმდება ოქმით.
4. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დასრულების შემდეგ, სამსახური ადგენს საბოლოო დასკვნას და წარუდგენს დირექტორს.
5. დასკვნაში ასახული ფაქტობრივ გარემოებებთან ან/და რეკომენდაციებთან და მისი შესრულების ვადებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციის არსებობის შემთხვევაში, შემოწმების ობიექტი უფლებამოსილია დირექტორს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი პოზიცია.

- **რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.**

1. შემოწმების ობიექტი ვალდებულია, რეკომენდაციით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს სამსახურის ინფორმირება რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით.
2. სამსახური უფლებამოსილია გამოითხოვოს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ან/და სხვა მტკიცებულებები.
3. დირექტორი უფლებამოსილია, შემოწმების ობიექტის ან სამსახურის დასაბუთებული შუამდგომლობით შეცვალოს რეკომენდაციის შესრულების ვადები.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

- **ვერიფიკაციის მიზანი**

1. ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

- **მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესები**

1. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია:
   - ა. ვალიდურობა;
   - ბ. სანდოობა;
   - გ. გამჭვირვალეობა;
   - დ. სამართლიანობა;
   - ე. ობიეტურობა,

2. შეფასების სისტემა **ვალიდურია** თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;

3. შეფასების სისტემის ვალიდურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების ინსტრუმენტი, რისთვისაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა შინაარსობრივი კუთხით;

4. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით;

5. შეფასების სისტემის სანდოობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების მტკიცებულება, რისთვისაც ხორციელდება მათი შესწავლა შინაარსობრივი კუთხით;

6. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის;

7. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული;

8. შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის და სამართლიანობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლის (პირობების ნაწილში), პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურების ან/და შეფასების პროცესზე დასწრების გზით;

9. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული;
10.შეფასების სისტემის ობიექტურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლის გზით.

- **შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურა**

1. ვერიფიკაცია ხორციელდება სამსახურის ორგანიზებით;
2. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამის შემოწმების ფარგლებში;
3. ვერიფიკაცია ხორციელდება სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ;
4. ვერიფიკატორი არის, ან ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება;
5. ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს მოწვეულმა პირმა/პირებმაც;
6. ვერიფიკაციის პროცესში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესში.
7. ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება:

   ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა;

   ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა. რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

8. ვერიფიკაციისას შეირჩევა ერთიდაიგივე შეფასების ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტი. თუ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების რაოდენობა არ აღემატება 10-ს, მაშინ ვერიფიკაციას ექვემდებარება ყველა ინსტრუმენტი/მტკიცებულება;
9. მე-8 პუნქტის მიხედვით შეფასებულ ინსტრუმენტში/მტკიცებულებაში უარყოფითი შედეგების შემთხვევაში - აღნიშნული მტკიცებულებები შეფასდება სრულად.